



**პრინციპის სამხრეთი მონაკვეთი**

გჯერ ოთხი წყობაა შემონახული ცოკოლზე. კუთხეებში სწორად გაპრილებული ქვები ფიქსირდება. მათ შორის არსებული სივრცე, შედარებით პატარა ზომის ქვებითა და ტალახითაა შევსებული. ადგილობრივ, ისევე როგორც რომაულ ნაგებობათა კედლების დიდი ნაწილი, ტრადიციულად, ხითაა ნაგები. კედლის გარე მხარე ხშირად ბათქაშითა თუ ჰიდრავლიკური ხსნარითაა მოპირკეთებული, მაშინ როცა, კედლების შიდა მხარის წყობები ცარიელი ან ნაწილობრივ შევსებულია.

პრინციპიაში ცხრა განყოფილებაა. მათ შორის, სტუმართა მისაღები და ცერემონიათა გასამართი დარბაზი. კონსტრუქციებში დიდი ზომის ქვის ბაზებია გამოყენებული. აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლები პილონებითაა გამაგრებული. ზოგიერთ ადგილას რუსტიკირებული კვადრებიც ფიქსირდება. ადრებიზანტიურ ხანაში, როგორც ჩანს, პრინციპის ნანგრევებზე ახალი შენობა აიგო. მასიური ბაზები სწორედ ამ პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს. მისი ზუსტი გეგმა ჯერაც დაუდგენელია. აქ იყო გალერეა და ფილებითა და ბრტყელი კრამიტით მოპირკეთებული ქუჩა.



**გონიო-აფსაროსის  
არქეოლოგიურ-არქიტექტურული  
კომპლექსი**

# აფსაროსის ციხის არქიტექტურა

[www.ajaraheritage.ge](http://www.ajaraheritage.ge)

[info@ajaraheritage.ge](mailto:info@ajaraheritage.ge)

 **Gonio - Apsaros Fortress**

აჭარის ავტონომიური  
რეპუბლიკის  
ლაშქვის სააგენტო



CULTURAL HERITAGE  
PRESERVATION AGENCY  
OF AJARA



**აფსაროსის ციხე-სიმაგრე**

აფსაროსში ორი აბანო აღმოჩნდა. ერთ-ერთი მათგანი უფრო მომცროა. მას მხოლოდ საქვაბე და ცხელი წყლის განყოფილება აქვს. მეორე აბანო უფრო მონუმენტალურია. საფიქრებელია, ის გარნიზონისათვის აიგო. საქვაბე აბანოს სამხრეთ მონაკვეთშია, სადაც ბრინჯაოს გამაცხელებლის ნაშთები დაფიქსირდა. საქვაბე ვიწრო გვირაბით დაკავშირებულია ცხელი წყლის განყოფილების სარდაფთან, საიდანაც ცხელი ჰაერი იატაკსა და კედლებს ათბობდა. პირველი განყოფილება, ანუ კალდარიუმი მთლიანად გათბობის სისტემით იყო „შთანთქმული“. ის ორ ნაწილად იყოფოდა და როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო თბილი წყლის განყოფილებასთან, ანუ, ტეპიდარიუმ-აბანო



თან. ეს უკანასკნელი ასევე ორ ნაწილად იყოფოდა. აქ დამუშავებული ქვის სვეტებიც აღმოჩნდა. ფიქსირდება ცივი წყლის განყოფილების, ანუ ფრიგიდარიუმის კედლები და აბაზანების ნაშთები. აქვე იყო შესასვლელი და გასახდელი, ანუ აპოდიტერიუმი.

ქართულ-პოლონური ერთობლივი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგია, რომაული აბანოების (თერმები) აღმოჩენა, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენობაა ნებისმიერ რომაულ გარნიზონში. რომაული აბანოს ერთი ნაწილი, რომელიც წარმოადგენდა გასახდელ ოთახს (Apodyterium),



**აფსაროსის ციხის სეფეზი**

მთლიანად დაფარულია პატარა, ფერადი კენჭებისაგან შექმნილი მოზაიკით. გამოყენებულმა ტექნიკამ დიდი ინტერესი გამოიწვია სპეციალისტებში. განსხვავებით სხვა მსგავსი მოზაიკებისა, გონიოში გამოყენებულია ბრტყელი კენჭების ფრგმენტები. ამიტომაცაა, რომ მოზაიკის ფილების ქვედა ნაწილის (ძირის) ფორმა არა ოთხკუთხა, არამედ ნახევარსფერულია. აშკარაა, რომ გამოყენებულია იაფი მასალა, რომელიც მოიპოვებოდა ადგილზე. შესრულების ტექნიკა და ნიმუშის სიმარტივე, ასევე, პროდუქციის მრავალი უარყოფითი მხარე, გვაფიქრებინებს რომ მოზაიკა შესრულებული უნდა ყოფილიყო სამხედროების მიერ, ადგილობრივი გარნიზონიდან.



**ყაზარმა**

უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო აბანოებში მოზაიკით შემკული იატაკი, ძალიან იშვიათია რომაულ სამყაროში. შესაძლებელია, რომაული აბანოების გადაკეთება და მორთვა დაკავშირებული იყოს აფსაროსში რომის იმპერატორ ადრიანეს (ახ.წ. 117-138წწ.) მმართველობის დროს, კაბადოკიის პროვინციის მმართველის ფლავიუს არიანეს ვიზიტთან, (ახ. წ. 134 წ.)- ეს ფაქტი მოხსენებულია მის წიგნში, რომელიც დღემდე შემორჩენილია.

ყაზარმას უფრო ფართო და ღრმა საძირკველი აქვს. ის უფრო დიდი ქვებითაა აგებული. ქვათა წყობებს შორის თიხის ხსნარია გამოყენებული. სამი, ზო-

**მოზაიკა**

